

გლობალური პანდემიის გავლენა სამართლებრივ  
ურთიერთობებზე საქართველოში

11 მაისი, 2020 წ.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში მიღებული რეგულაციები.....	3
2. სახელშეკრულებო ურთიერთობები.....	4
3. შრომითი ურთიერთობები .....	6
4. სხვა სამართლებრივი ურთიერთობები .....	7
5. რეკომენდაციები.....	10

გლობალური პანდემიით გამოწვეული და საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები გავლენას ახდენს სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობებზე, განურჩევლად ბიზნესის სექტორისა. წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია პანდემიის საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ შემოღებული რეგულაციების მოკლე აღწერა, ასეთი რეგულაციების გავლენა სახელშეკრულებო, შრომით და ზოგიერთ სხვა სამართლებრივ ურთიერთობაზე, დოკუმენტის ბოლოს კი - რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ბიზნესს დაეხმარება როგორც მოცემულ სამართლებრივ გარემოსთან ადაპტაციაში, ისევე სამომავლო ურთიერთობების უკეთ მოწესრიგებაში.

## 1. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში მიღებული რეგულაციები

2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. 2020 წლის 21 აპრილს პრეზიდენტმა გამოსცა კიდევ ერთი ბრძანება, რომლითაც საგანგებო მდგომარეობის ვადა გახანგრძლივდა 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტს გამოცემული დეკრეტით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის გარკვეული მუხლებით<sup>1</sup> განმტკიცებული უფლებები, ხოლო საქართველოს



მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება საგანგებო

<sup>1</sup> კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებით განმტკიცებული უფლებები.

<sup>2</sup> სამედიცინო დაწესებულებები, ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი და სხვა.

<sup>3</sup> კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ქვანახშირს, მოიპოვებენ ფერად ლითონს, აწარმოებენ ცემენტს და სხვა.

<sup>4</sup> სია მოცულობითია და მოიცავს ისეთ საქმიანობებს როგორცაა, მაგალითად, შენობების და ნაგებობების მშენებლობა, IT და სერვერული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა და სხვა.

მდგომარეობის ვადით, შემოედო კონკრეტული რეგულაციები, შეზღუდვები და აკრძალვები.

საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 23 მარტს მიიღო დადგენილება საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომლის თანახმადაც, საგანგებო მდგომარეობის ვადით, საქართველოში შეჩერდა ეკონომიკური საქმიანობა, გარკვეული გამონაკლისების გარდა, კერძოდ:

გამონაკლისების პირველ კატეგორიაში შევიდა აუცილებელი ეკონომიკური საქმიანობები<sup>2</sup>; გამონაკლისების მეორე კატეგორია შეეხო კონკრეტულ მეწარმე სუბიექტებს<sup>3</sup>; საგამონაკლისო საქმიანობის მესამე კატეგორია გავრცელდა ეკონომიკურ საქმიანობებზე, რომლებსაც შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, არ ეზღუდებათ საქმიანობა<sup>4</sup>; ცალკე გამოიყო საგამონაკლისო ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალი, რომლის განმახორციელებელ მეწარმე სუბიექტებსაც ასევე არ ეზღუდებათ საქმიანობა<sup>5</sup>, ისევე როგორც უცხოური საწარმოების ფილიალების საქმიანობა, რომლებიც ახორციელებენ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს საქართველოში.

გამონაკლისების ზოგადი კატეგორიაა ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, თუ იგი ხორციელდება დისტანციურად, მხოლოდ სახლიდან გაუსვლელად ან კრიტიკულად აუცილებელ შემთხვევებში, სამუშაო ადგილიდან<sup>6</sup>.

აკრძალვები განსაკუთრებით შეეხო შემდეგ საქმიანობებს (ბიზნეს სექტორებს):

**ტრანსპორტი** - აკრძალა საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, ასევე საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო<sup>7</sup>, სახმელეთო, სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლა. გამონაკლისია სატვირთო

<sup>5</sup> სამაცივრე მეურნეობები, საბაჟო საწყობები, სურსათის/ცხოველთა საკვების ლაბორატორიები, სადებიზინფექციო მომსახურების ცენტრები, სასაბურთო მეურნეობები და სხვა.

<sup>6</sup> მაგრამ არა უმეტეს 5 ადამიანისა.

<sup>7</sup> არარეგულარული (ჩარტერული) ფრენების განაცხადი განიხილება ინდივიდუალურად სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.

გადაზიდვები და საერთაშორისო ტრანზიტი საქართველოს გავლით.

**სასტუმრო და ტურიზმის სფერო** - აიკრძალა სასტუმროების და სხვა განთავსების ადგილების საქმიანობა საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით, გარდა მათი საკარანტინო მიზნებისათვის შესაძლო გამოყენებისა.

**სათამაშო ბიზნესი** - აიკრძალა კაზინოების, სათამაშო აპარატების სალონების, ტოტალიზატორების საქმიანობა საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით.

**ვაჭრობის სფერო** (ე.წ. „რითილი“) - აიკრძალა სხვადასხვა ტიპის სავაჭრო ობიექტების ფუნქციონირება, გარდა საკვები პროდუქტებით და მედიკამენტებით ვაჭრობისა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 24 აპრილს გაცხადებული გეგმის მიხედვით, დაწესებული შეზღუდვები **ეტაპობრივად მოიხსნება ორ კვირიანი შუალედებით.**<sup>8</sup>

## 2. სახელშეკრულებო ურთიერთობები

ჩაითვლება თუ არა პანდემია და საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები ფორს-მაჟორად (საკანონმდებლო ენაზე - დაუძლეველ ძალად) და რამდენად ათავისუფლებს აღნიშნული გარემოებები მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან (შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან) საჭიროებს კონკრეტული შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების და სამართლებრივი საკითხების დეტალურ ანალიზს. ზოგადი შეფასების სახით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

**როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ფორს-მაჟორი<sup>9</sup>**, შესაბამისი დებულებების შინაარსი, როგორც წესი, სტანდარტულია და იმისთვის რომ სახელშეკრულებო მხარემ ისარგებლოს ფორს-მაჟორის მუხლით დადგენილი გამონაკლისებით (ვალდებულებისგან/პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების რეალიზაცია) აუცილებელია:

<sup>8</sup> მაგალითად, პირველ ეტაპზე, დაშვებულ იქნა ზოგიერთი ღია ტიპის სავაჭრო ობიექტის საქმიანობა და მიტანის მომსახურება. შეზღუდვების ნაწილი უკვე მოხსნილი ან შერბილებულია.

<sup>9</sup> ფორს-მაჟორის მომწესრიგებელი სახელშეკრულებო დებულებები უფრო ხშირად გამოიყენება კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებებში (მაგ. ნასყიდობა, ნარდობა, გადაზიდვა),

- შემოწმდეს დამდგარი გარემოება მითითებულია თუ არა ფორს-მაჟორის მუხლში მოცემულ ჩამონათვალში (მაგ. მითითება პანდემიაზე, საგანგებო მდგომარეობაზე, სახელმწიფო აქტებზე) გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩამონათვალი არ არის ამომწურავი (საილუსტრაციო ხასიათისაა და მიუთითებს, მაგალითად, „სხვა მსგავს გარემოებებზე რომლებიც სცილდება მხარეთა კონტროლს“);
- ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა არ იყოს დამოკიდებული მხარეთა ნებაზე, სცილდებოდეს მათ კონტროლს და არ იყოს განჭვრეტადი (რაც პანდემიის/საგანგებო მდგომარეობის დროს, ჩვეულებრივ სახეზეა, გარდა იმ ხელშეკრულებებისა, რომლებიც დაწესებული შეზღუდვების შემდგომ ან მათ დაწესებამდე მცირე დროით ადრე დაიდება);
- დადგინდეს რომ ფორს-მაჟორული გარემოება პირდაპირ გავლენას ახდენს მხარის შესაძლებლობაზე, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება (მიზეზობრივი კავშირი გარემოებასა და დამდგარ შედეგს შორის, რისი მოვალის მხრიდან ცხადად დემონსტრირებაც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების კრიტიკული ელემენტია);
- განხორციელდეს შესაბამისი მხარის დროული შეტყობინება ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე (მხარეთა მიერ შეთანხმებული წესითა და ვადაში).

შესაბამის მხარეს, როგორც წესი, უფლება აქვს **შეაჩეროს და/ან გადაავადოს** ვალდებულების შესრულება ფორს-მაჟორული გარემოების აღმოფხვრამდე. გამომდინარე კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთიდან, აღნიშნული შეიძლება გამოხატოს მხარის მიერ ვალდებულების შესრულების **განახლებაში** ფორს-მაჟორული გარემოების აღმოფხვრის შემდეგ (მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულებაში საქონლის მიწოდება მოგვიანებით) ან, იშვიათ შემთხვევაში, მოცემულ პერიოდზე შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისგან **გათავისუფლებაში** (მაგ. იჯარის

სხვა შემთხვევებში - ნაკლებად (მაგ. შრომის, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებები). ზოგჯერ მხარეები შესაბამისი სახელშეკრულებო დათქმით პირდაპირ გამოიცხადებენ ფორს-მაჟორის საფუძვლით ვალდებულებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას (მაგ. როცა მოვალეს მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულება ეცისრება).



ხელშეკრულებაში საიჯარო ქირის გადახდისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება).

ფორს-მაჟორული გარემოების განგრძობადობის შემთხვევაში (ხელშეკრულებაში მითითებული პერიოდით, სტანდარტულად სამი ან ოთხი თვით), ან უფრო ადრეც, თუკი არსებობს სხვა შესაბამისი გარემოება (შესრულების მიღების ინტერესის დაკარგვა), მხარეები უფლებამოსილნი არიან **შეწყვიტონ** ხელშეკრულება.

შეწყვეტის სამართლებრივი გაფორმებაც კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობაზეა დამოკიდებული და შეიძლება მდგომარეობდეს ხელშეკრულების მოშლაში (სამომავლო ურთიერთ-ვალდებულებები წყდება, შესრულება და სარგებელი მხარეებს რჩება) ან ხელშეკრულებიდან გასვლაში (მიღებული შესრულების დაბრუნება). აღნიშნულის ფორმალიზებისთვის, მხარეებს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების მოხმობა უწევთ, რამდენადაც ფორ-მაჟორის მუხლი, სტანდარტულად, მხოლოდ შეწყვეტის უფლებაზე უთითებს.

შესაბამისად, სახელშეკრულებო ვალდებულების გადავადების, გათავისუფლების ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან (მაგ. ზიანი ან სახელშეკრულებო სანქციები).

**როდესაც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებულია ფორს-მაჟორი**, ასეთ შემთხვევაში მხარეებს შეუძლია დაეყრდნონ სამოქალაქო კოდექსის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებს და ამტკიცონ რომ კონკრეტული გარემოება (მაგ. პანდემია/საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები) **შეუძლებელს ხდის** ვალდებულების შესრულებას, ან, თუმცა შესრულება ფაქტობრივად შესაძლებელია, მაგრამ **უკიდურესად დამძიმებულია** (გართულებულია).

პირველ შემთხვევაში, ადგილი უნდა ჰქონდეს **დაუძლეველ ძალას**,<sup>10</sup> რაც სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, კვალიფიცირდება როგორც მოვლენა, რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული მხარეთა

ნებაზე ან ქმედებებზე, არის უჩვეულო, მოულოდნელი, რომლის გათვალისწინება და აცილება მხარეებს არ შეეძლოთ და რომელიც აფერხებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას<sup>11</sup>. ასეთ დროს კანონმდებლობა განამტკიცებს შესაბამისი მხარის მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლებას.



მეორე შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს **შეცვლილი გარემოებები**,<sup>12</sup> რაც შესრულებას იმ ხარისხით უნდა აფერხებდეს, რომ ასეთის მოთხოვნა უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტურ მოთხოვნებს, კეთილსინდისიერების პრინციპსა და წარმოადგენდეს დაზარალებული მხარის მდგომარეობით ბოროტად სარგებლობას<sup>13</sup>. ასეთ დროს, მხარეები უნდა შეეცადონ, მიუსადაგონ ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ხელშეკრულებიდან გასვლა.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ არცთუ იშვიათია სახელშეკრულებო დათქმა, რომელითაც მხარეს ფორს-მაჟორული გარემოების კომპეტენტური ორგანოს მიერ დადასტურება მოეთხოვება. აღნიშნული სახასიათო ხელშეკრულებებისთვის უცხოური ელემენტით<sup>14</sup>, თუმცა, გვხვდება ადგილობრივ კონტექსტშიც. ამგვარი დამოწმება გამოდგება ფორ-მაჟორული გარემოების არსებობის ფაქტის მტკიცების საშუალებად და აღნიშნულზე მხარეებს შორის პოტენციური დავის პრევენციისთვის. საქართველოში ფორს-მაჟორის დამოწმებას ახორციელებს **საქართველოს საგაჭრო-სამრეწველო პალატა**<sup>15</sup>.

<sup>10</sup> სამოქალაქო კოდექსის მუხლი 398.

<sup>11</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N2/ზ-448-2017.

<sup>12</sup> სამოქალაქო კოდექსის მუხლი 399.

<sup>13</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N°ას-153-143-2015.

<sup>14</sup> მაგ. როცა კონტრაქტები სხვადასხვა ქვეყნების რეზიდენტები არიან და სახეზეა სპეციფიკური

სახელშეკრულებო ურთიერთობა, მაგალითად საერთაშორისო ნასყიდობა ან საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვა.

<sup>15</sup> წარმოება ელექტრონულია, მოიცავს მიმართვიდან 10 დღეს და გაიცემა ცნობა რომლითაც კონკრეტული ხელშეკრულების კონტექსტში და მხარესთან (ან მხარეებთან) მიმართებაში პალატა ადასტურებს ფორ-მაჟორის არსებობას.

### 3. შრომითი ურთიერთობები

შექმნილ გარემოებებთან მიმართებით, კომპანიები, მათი სამუშაო სფეროებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია სამ ჯგუფად დავყოთ: ა) კომპანიები, რომლებიც თავისუფლად (დაწესებული უსაფრთხოების წესების დაცვით) ახორციელებენ თავის საქმიანობას; ბ) კომპანიები, რომელთა საქმიანობა სტანდარტულ რეჟიმში ვერ გრძელდება, თუმცა კი მათი სპეციფიკა იძლევა სამუშაოს დისტანციურად წარმართვის საშუალებას; გ) კომპანიები, რომლებსაც სრულად მოუწიათ საქმიანობის შეჩერება.

განხილვის საგანს წარმოადგენს მეორე და მესამე ჯგუფებში შემავალი კომპანიები, რომლებიც ვერ აგრძელებენ მუშაობას ან ამას ახერხებენ მხოლოდ დისტანციურად.



**სამუშაოს შესრულება დისტანციურად** - თუკი საქმიანობის სპეციფიკა იძლევა დისტანციურად მუშაობის საშუალებას, აღნიშნული დაშვებულია, როგორც მოქმედი დროებითი რეგულაციებით, ისე შრომის კოდექსით და ეს არ ითვლება ხელშეკრულების არსებით პირობათა ცვლილებად იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დისტანციური მუშაობა სხვა დასახლებული პუნქტიდან ხორციელდება. შრომითი ურთიერთობის ყველა ძირითადი პარამეტრი ნარჩუნდება: შრომა კვლავაც ორგანიზაციულად მოწესრიგებულია; დასაქმებული ანგარიშვალდებულია ხელმძღვანელის წინაშე; სხვაგვარი/დამატებითი შეთანხმების

არარსებობის შემთხვევაში - სტანდარტული სამუშაო დრო იგივეა, შრომითი ანაზღაურება - უცვლელი. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული შესაბამისი ტექნიკური პირობებით, რაც დისტანციურად მუშაობას შესაძლებელს გახდის.

**შრომითი ურთიერთობის ფაქტობრივად შეჩერება** - როდესაც კომპანიას დაწესებული შეზღუდვების გამო არც საქმიანობის უფლება აქვს და არც დასაქმებულთა მიერ სამუშაოს დისტანციურად შესრულება შესაძლებელი, სახეზეა შრომითი ურთიერთობების ფაქტობრივი შეჩერება. თუმცა აღნიშნულის ფორმალიზების შესაძლებლობას კანონმდებლობა არ იძლევა, რის საფუძველზეც დამსაქმებელი შესაბამის სამართლებრივ ან კანონიერ სახელშეკრულებო ნორმაზე დაყრდნობით გათავისუფლდებოდა შესაბამის პერიოდში შრომის ანაზღაურების დასაქმებულისთვის სრულად ან ნაწილობრივ გადახდისგან.

მიიჩნევა რომ შრომის კოდექსში მითითებული შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლები<sup>16</sup> ამომწურავია. ამასთან, შესაძლებელია საწინააღმდეგოს დაშვება, რომ შეჩერების საფუძვლების საკანონმდებლო ჩამონათვალი შეიძლება განვრცობილ იქნას სხვა შემთხვევებზეც, როცა შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად ჩერდება და აღნიშნული გამოწვეულია არა დასაქმებულის ან დამსაქმებლის ბრალით, არამედ სხვა ობიექტური გარემოებით, რომლის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია (მაგ. პანდემია და საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში მიღებული ამკრძალავი რეგულაციები)<sup>17</sup>.

სამსჯელოა ასევე [შესაძლო] სახელშეკრულებო დათქმის კანონიერება შრომის კოდექსით გათვალისწინებული იძულებითი მოცდენის ჭრილში<sup>18</sup>. კერძოდ, მხარეთა წინასწარი შეთანხმება, რომ იძულებითი მოცდენის დროს, რაც მხარეთა ბრალით არ არის გამოწვეული (და ადგილი აქვს, მაგ. ფორ-მაჟორულ გარემოებას), დამსაქმებელი თავისუფლდება დასაქმებულისათვის შრომის ანაზღაურების გადახდისგან.

ორივე ზემოაღნიშნული დაშვება (როგორც იძულებითი მოცდენის, ისევე შეჩერების კანონიერი საფუძვლების განვრცობის) საჭიროებს განმტკიცებას შესაბამისი სასამართლო პრაქტიკით. ამგვარი სახელმძღვანელო

<sup>16</sup> შრომის კოდექსის 36-ე მუხლი.

<sup>17</sup> აღნიშნული მტკიცების არგუმენტად შეიძლება მიჩნეულ იქნას შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი რომელიც იმპერატიულად ადგენს, რომ დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სხვა საფუძვლით, გარდა 37-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული

საფუძვლისა. მსგავსი იმპერატიული ხასიათის ჩანაწერი არ არსებობს კოდექსის 36-ე მუხლთან მიმართებაში, რომელიც შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებს ჩამოთვლის.

<sup>18</sup> შრომის კოდექსის 32-ე მუხლის მეორე ნაწილი.

პრაქტიკის არარსებობის პირობებში კი ოპტიმალურია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც შეიძლება გაფორმდეს საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული შრომითი ურთიერთობის ფაქტობრივად შეჩერების პერიოდში აუნაზღაურებელი შვებულების მიცემის, თვითური ანაზღაურების შემცირების ან მხარეთა კონსენსუსის საფუძველზე მიღებული სხვა შესაძლო გადაწყვეტილების სახით.

**შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა** - თუკი დამსაქმებელი იძულებული გახდა, შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება, ვფიქრობთ, ყველაზე სწორად მორგებული საფუძველი ამისთვის იქნება ხელშეკრულების შეწყვეტა ეკონომიკური გარემოებების გამო, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას, „სხვა ობიექტურ გარემოებებთან“ კომბინაციაში<sup>19</sup>.



ამასთან, დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ: ა) არსებული გარემოებები (მოცემულ შემთხვევაში პანდემიით გამოწვეული) ნამდვილად უნდა ახდენდეს გავლენას მისი კომპანიის ფუნქციონირებაზე; ბ) სამუშაო ძალის ნაწილობრივ შემცირების პირობებში, მას უნდა გააჩნდეს ლეგიტიმური ახსნა იმის, თუ რატომ მოუწია კონკრეტულად ამ დასაქმებულის პოზიციის შეცირება და არა სხვის; გ) სასურველია, ჰქონდეს მტკიცებულება, რომ ის საკითხის სხვაგვარად დარეგულირებას შეეცადა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ უკანასკნელი გზა იყო, რომელსაც მიმართა.

რეკომენდაციის სახით სასურველია დამსაქმებლებმა გაითვალისწინონ შემდეგი:

- შრომითი ურთიერთობის ფაქტობრივი შეჩერების პირობებში, შესაბამისი

გადაწყვეტილება მიღებულ იქნას დასაქმებულთან შეთანხმებით (უხელფასო შვებულება, შემცირებული ანაზღაურება და სხვა), რაც უნდა გაფორმდეს წერილობით;

- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, როგორც უკიდურესი ზომა, განხორციელდეს ამისთვის შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, შესაბამისი საფუძველითა და დადგენილი სტანდარტების დაცვით;
- შრომით ხელშეკრულებებში (არსებულში ცვლილების შეტანის გზით ან სამომავლოდ გასაფორმებელი) განისაზღვროს რომ:

- დამსაქმებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დასაქმებულს სხვა მსგავსი სამუშაოს შესრულება, საჭიროებისას - სამუშაოს შესრულება დისტანციურად, ხოლო დამსაქმებელმა უზრუნველყოს დასაქმებული სათანადო საშუალებებითა და ტექნიკური აღჭურვილობით, დისტანციური სამუშაო არ ჩაითვალოს შრომის არსებითი პირობების ცვლილებად.
- შემუშავდეს ფორ-მაჟორის მუხლი (ფორს-მაჟორული გარემოებების ვრცელი ან/და არა-ამომწურავი ჩამონათვალით), ხოლო ამგვარი გარემოების დადგომა ჩაითვალოს შრომითი ურთიერთობის შეჩერებად და/ან იძულებით მოცდენად, რა დროსაც დამსაქმებელი გათავისუფლდება შრომის ანაზღაურების (სრულად ან ნაწილობრივ) გადახდისგან.

#### 4. სხვა სამართლებრივი ურთიერთობები

საგანგებო მდგომარეობის პირობებში მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს-სუბიექტებმა დაიცვან და გაითვალისწინონ როგორც მანამდე მოქმედი რეგულაციური მოთხოვნები, ასევე პანდემიის პირობებში შემოღებული ახალი დანაწესები.

##### 4.1 პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

გლობალურმა პანდემიამ პერსონალურ მონაცემთა იმ ფორმითა და მოცულობით დამუშავების საჭიროება წარმოშვა, რომელიც აქამდე წარმოუდგენელი იყო.

<sup>19</sup> შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „ო“ ქვეპუნქტები.



პანდემიის პირობებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განმარტების თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს, შეაგროვოს და დაამუშავოს დასაქმებულის შემდეგი მონაცემები: დასაქმებული სტუმრობდა თუ არა ვირუსის გავრცელების მაღალ რისკის შემცველ ქვეყანას, აქვს თუ არა დასაქმებულს ვირუსის სიმპტომები, ჰქონდა თუ არა კონტაქტი ვირუსით დაინფიცირებულ პირ(ებ)თან.

კრიზისული ვითარებიდან გამომდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემებზე წვდომა განსაკუთრებით აქტუალური გახდა, თუმცა კანონი არ იძლევა მკაფიო პასუხებს ყველა კითხვაზე და საჭიროა ინდივიდუალური შეფასება. მაგალითად, ასეთი საკითხებს მიეკუთვნება თუ რა შემთხვევებში, რა ფორმითა და მოცულობით შეუძლიათ სახელმწიფო ორგანოებს შეაგროვონ და დაამუშაონ ფიზიკურ პირთა გეოლოკაციური მონაცემები, პირის მაიდენტიფიცირებული ვიდეო კამერის ჩანაწერები, საბანკო ტრანზაქციები, ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი და სხვა მონაცემები შესაძლო კონტაქტების გამოსავლენად, რა სიხშირითა და რა შემთხვევებში შეუძლიათ კომპანიებს, რომ ვიზიტორებს მოსთხოვონ ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების (ან ცნობის) წარმოდგენა, შეუძლია თუ არა ორგანიზაციას, დასაქმებულს დაავალდებულოს სამედიცინო შემოწმების გავლა, აქვს თუ არა უფლება მონაცემთა დამუშავებელს, გაუზიაროს დასაქმებულის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემები სხვა გარეშე პირებს ან სახელმწიფო ორგანოებს და სხვა.

ნებისმიერ შემთხვევაში, საჯარო და კერძო დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პანდემია და საგანგებო მდგომარეობა არ ათავისუფლებს მათ ვალდებულებისგან, დაიცვან მონაცემთა დამუშავების პრინციპები, როგორცაა ლეგიტიმური და კონკრეტული მიზნის არსებობა, მონაცემთა პროპორციულობა და ადეკვატურობა, მონაცემთა უსაფრთხოება და შენახვის ვადა.

#### **4.2 კონკურენციის სამართალი**

პანდემიის შედეგად შექმნილი კრიზისული სიტუაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებზე და ქმნის ვითარებას, რამაც კომპანიას, შესაძლოა კონკურენციის საწინააღმდეგო ქცევისკენ უბიძგოს. ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის ფონზე კონკურენციის სამართალი არ წარმოადგენს ყურადღების საგანს, რის გამოც იზრდება მისი დარღვევის და ფინანსური

საქციის დაკისრების რისკი. ამიტომ, კომპანიები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეციდონ ბაზარზე მათ ქცევას.

შექმნილ ვითარებაში კონკურენციის წესები რელევანტურია რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, კონკურენტებს შორის თანამშრომლობის, კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის გაცვლის, არასამართლიანი ფასების დაწესებისა და სახელმწიფო დახმარების მიღების კონტექსტში.

**კონკურენტებს შორის თანამშრომლობა** - საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ (კანონი) კრძალავს ე.წ. „კარტელურ“ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს წარმოების/დისტრიბუციის პირობების კოორდინაციას, საქონლის საერთო რაოდენობაზე შეთანხმებას, ბაზრის დანაწილებას და სხვა. ამასთან, არაორდინალური სიტუაციის გამო, არსებობს რეალური საჭიროება, რომ კომპანიებმა ითანამშრომლონ, რათა უზრუნველყონ, რომ ბაზარზე არ შეიქმნას აუცილებელი პროდუქტების და მომსახურების დეფიციტი. თანამშრომლობის შემთხვევაში, კონკურენციული რისკების მინიმუმაციისთვის საჭიროა: თანამშრომლობა გამოწვეული იყოს პანდემიით, ემსახუროდეს საჯარო ინტერესს და იყოს პროპორციული, ამასთან

“ არაორდინალური სიტუაციის გამო, არსებობს რეალური საჭიროება, რომ კომპანიებმა ითანამშრომლონ, რათა უზრუნველყონ, რომ ბაზარზე არ შეიქმნას აუცილებელი პროდუქტების და მომსახურების დეფიციტი.

მომხმარებლისთვის სარგებლის მომტანი და გაგრძელებად მხოლოდ იმ ვადით, რაც საჭიროა კრიზისული მდგომარეობის შედეგების აღმოსაფხვრელად.

**კომერციულად „სენსიტიური“ ინფორმაციის გაცვა** - კრიზისული სიტუაციის შედეგად ეკონომიკური სუბიექტები, შეიძლება, მონდომებულები იყვნენ, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და მიაწოდონ კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია. როგორც წესი, ასეთია ინფორმაცია სამომავლო ფასების, შესყიდვის რაოდენობების, ხარჯების და მოთხოვნის შესახებ. კომერციულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცვლის შედეგად, შეიძლება წარმოიშვას ბიზნეს სუბიექტებს შორის თანამშრომლობის რისკი, რაც ეწინააღმდეგება კონკურენციის სამართალს.



**არასამართლიანი ფასების დაწესება** - კონკურენციის შესახებ კანონი კრძალავს ბიზნეს სუბიექტის მიერ არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესებას. აკრძალავს, ძირითადად, დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტებზე მოქმედებს, რომელმაც კრიზისულ სიტუაციაში, შეიძლება, გადაწყვიტოს ფასების მნიშვნელოვნად ზრდა დეფიციტურ და მომხმარებლისთვის აუცილებელ პროდუქტზე. ფასების განსაკუთრებული ზრდის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტო სათანადო რეაგირებას მოახდენს.



**4.3 სახელმწიფო შესყიდვები**

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

**დროული და სათანადო შეტყობინება** - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სტანდარტული ხელშეკრულებები ითვალისწინებს სპეციალურ პროცედურას (მათ შორის ვადებს) ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმირებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ შემსყიდველი ინფორმირება სწორედ ხელშეკრულებით დადგენილი წესით მოხდეს. თუ ასეთი პროცედურა არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მაშინ შემსყიდველისთვის შეტყობინების გაგზავნა უნდა მოხდეს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისთანავე დაუყოვნებლივ, როგორც კი მიმწოდებელს ამის შესაძლებლობა ექნება.

**დადგინდა ხელშეკრულების ღირებულების ოდენობის ზრდის ზედა ზღვარი** - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №12 ბრძანებაში <sup>20</sup>

განხორციელდა ცვლილება, რომლითაც დადგინდა ხელშეკრულების ღირებულების ოდენობის გაზრდა არაუმეტეს 10%-ისა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი) გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, რაც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების წერილობითი ფორმით განხორციელებას საჭიროებს. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, სამშენებლო მასალების ხარჯის ზრდის დაფინანსების მიზნით, დაშვებული იქნა დამატებით (გარდა ღირებულების 10%-იანი ზრდის ნახსენები შესაძლებლობისა) ხელშეკრულების ღირებულების ზრდა საქართველოს მთავრობის №619 განკარგულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

**შეიცვალა უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტების წარდგენის წესი** - საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიები არ არიან უფლებამოსილინი, მოითხოვონ უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტის თარგმანის, ასევე დოკუმენტის ასლის სანოტარო წესით დამოწმება (თუნდაც ეს გათვალისწინებული იყოს კანონმდებლობით). დამოწმებული სახით თარგმანის ან/და ასლის წარუდგენლობა არ დააბრკოლებს დაინტერესებული პირის განცხადების განხილვას.

**4.4 საფინანსო სფერო**

მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა ითვალისწინებს რამდენიმე მნიშვნელოვან ინიციატივას საფინანსო სფეროში. სახელდობრ, ამგვარი გეგმით:

- ფიზიკური პირები სამი თვის (2020 წლის მარტი, აპრილი, მაისი) განმავლობაში გათავისუფლდებიან სასესხო მომსახურებისაგან, რაც გულისხმობს, რომ სამთვიანი საშელავათო პერიოდის განმავლობაში, მსესხებელი სესხის არც ძირითად თანხას და არც პროცენტს არ გადაიხდის, თუმცა, მისი სასესხო პერიოდი სამი თვით გახანგრძლივდება.
- იურიდიული პირებისათვის განხორციელდება სესხების რესტრუქტურისაციის (სასესხო პერიოდის გაზრდა, საპროცენტო განაკვეთის

<sup>20</sup> ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.

შემცირება და ა.შ.) პროცესი უახლოესი სამი-ოთხი თვის განმავლობაში.

- მცირე სასტუმროებისათვის საბანკო სესხის ექვსი თვის საპროცენტო განაკვეთის 80%-ს დაფინანსებას (სუბსიდირებას) სახელმწიფო განახორციელებს.
- მთავრობა შეიმუშავებს საკრედიტო-საგარანტიო სქემას, რისთვისაც ბიუჯეტში 300 მილიონი ლარი გამოიყოფა. გარანტიით გაიცემა 2 მილიარდი ლარის საკრედიტო პორტფელი. გარანტია გავრცელდება ბიზნესის მიერ კომერციული ბანკებიდან მიღებულ სესხებზე, ახალი სესხების შემთხვევაში სესხის მოცულობის 90%-ის ფარგლებში, ხოლო არსებული, მაგრამ რესტრუქტურირებული სესხის შემთხვევაში სესხის მოცულობის 30%-ის ფარგლებში.
- ცვლილებები შევა სახელმწიფო პროგრამის “აწარმოე საქართველოში” თანადაფინანსების პირობებში: სესხის / ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდი გაიზრდება 24 თვიდან 36 თვემდე; შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმი; გაიზრდება საქმიანობის სახეები; დაიწვეს სესხისა და ლიზინგის მინიმალური ზღვარი; მოხდება საბრუნავი საშუალებების დაფინანსების ზრდა.
- დაბოლოს, მთავრობის აღნიშნული გეგმით, კომერციულ ბანკებს მიეწოდებათ 600 მილიონი ლარის ოდენობის გრძელვადიანი რესურსი, რაც კრიზისის დამლევაში დაეხმარებათ.

- დეტალურად გაეცნონ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებულ რეგულაციებს, საქმიანობა წარმართონ აღნიშნული რეგულაციების მოთხოვნათა შესაბამისად;



- განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ხელშეკრულებებს, რომელთა შესრულება გართულებული ან შეუძლებელია მოქმედი რეგულაციების გამო, სამართლებრივ მრჩევლებთან ერთად დაგეგმონ დაკავშირებული ღონისძიებები (მოლაპარაკებათა ან პოტენციური დავათა წარმართვა);
- მოახდინონ სტანდარტული ხელშეკრულებების ინვენტარიზაცია, განსაკუთრებით ფორს-მაჟორის მუხლის გადამუშავება, სამომავლოდ დასადები ხელშეკრულებებისთვის;
- შრომითი ურთიერთობებში გაითვალისწინონ ახლად მიღებული რეგულაციები, თანამშრომელთა დათხოვნა განახორციელონ როგორც უკიდურესი ზომა, შესაბამისი საფუძვლით და სამართლებრივ მრჩევლებთან კონსულტაციის გზით; განახორციელონ შრომის კონტრაქტების რევიზია წინამდებარე დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

## 5. რეკომენდაციები

ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა რომლებიც წარმართავენ ბიზნეს საქმიანობას საქართველოში შეიძლება მხედველობაში მიიღონ შემდეგი:

სიახლეებისა და MKD LAW-ს შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს  
WWW.MKDLAW.GE

ან დაგვიკავშირდით ნომრებზე: +995 32 2553880, +995 32 2973880